ვახტანგ კიბირია,16 წლის

ფოთის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ფოთის #3 საჯარო სკოლა, მე-10 კლასი

‘’წერილი ევროპელ თანატოლს — დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე’’

"საერთო ღირებულებების ძიებაში:ქართველი ახალგაზრდის ხმა"

გამარჯობა, უცნობო მეგობარო!

მე ვახო ვარ, 16 წლის და ვცხოვრობ ფოთში — საზღვაო ქალაქში, რომელიც დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის ნაპირზე დააარსეს ბერძნებმა ანტიკურ ხანაში.

ეს ჩემი პირველი წერილია შენთან და ეს შემთხვევითი სულაც არაა — მსურს, გაგიზიარო გზა, რომელიც ჩემმა ქვეყანამ გაიარა დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე. ეს ის გზაა, რომელზედაც ახალი თაობები ყოველდღე დავდივართ და რომელსაც ჩვენ, ახალგაზრდები, ყოველდღიურად ვაშენებთ ჩვენი გადაწყვეტილებებითა და ქმედებით.
 დამოუკიდებლობა ჩემთვის მხოლოდ ისტორიული თარიღი ან პოლიტიკური დეკლარაცია არაა, ეს არის უფლება, ვიცხოვრო საკუთარი რწმენითა და ღირებულებებით. თავისუფლება ჩემი მშობლებისა და ბებია-ბაბუების თავგანწირვით მოიპოვა ჩემმა ქვეყანამ.

თავისუფლება შრომა და შესაძლებლობაა, რომ ჩემს ქვეყანას ღირსეულად ვემსახურო — ცოდნით, გულწრფელობითა და საერთო ღირებულებებით.

ვიფიქრო დამოუკიდებლად, ვისწავლო რაც მსურს, ხმამაღლა ვთქვა სათქმელი და გავუფრთხილო იმ საძირკველს, რომელიც ჩვენი იდენტობის საყრდენია.
 საქართველო არაერთხელ აღმოჩნდა დიდი იმპერიების მარწუხებში, თუმცა 1918 წელს, პირველი რესპუბლიკის ხანმოკლე ,მაგრამ შთაგონებით აღსავსე პერიოდში ,ნათლად გავამჟღავნეთ ჩვენი სულისკვეთება -ვიყოთ თავისუფალი ქვეყანა. 1991 წელს კი, საბჭოთეთის ბორკილებისგან საბოლოო გათავისუფლება ერის ხელახალი დაბადება იყო — გამარჯვება თავისუფლებისკენ მიმავალ გზაზე.

თავისუფლება სიბრძნეა, რომელიც გვასწავლის , როგორ დავიცვათ ჩვენი იდენტობა გლობალურ სამყაროში , როგორ გავხდეთ ტოლერანტი და პასუხისმგებლიანი მოქალაქეები.

თავისუფლებაა, როცა ვწერთ ჩვენს ისტორიას, ვსწავლობთ ევროპულ გამოცდილებას, მაგრამ ვიცავთ ჩვენს კულტურას .

და დღეს შემიძლია ,ვისაუბრო საკუთარ ენაზე, ვწერო საკუთარი ანბანით, ავირჩიო საკუთარი პროფესია, გავიზარდო დემოკრატიულ ფასეულობებზე და შევქმნა ჩემი იდეალები. ჩემთვის ყველაზე ღირებული შინაგანი თავისუფლებაა — როცა ვიცი, რომ ჩემი აზრი ფასეულია და სხვებსაც შეუძლიათ გამიგონ.
 ჩვენთვის, ქართველი ახალგაზრდებისთვის, ევროპა მხოლოდ გეოგრაფიული ცნება არ არის. ეს არის ღირებულებათა სივრცე, სადაც ერთობლივად შენდება მშვიდობა, თანასწორობა და თავისუფლება, ამიტომაც გვწამს ევროპული ინტეგრაციის — არა იმიტომ, რომ სხვებს ვემსგავსებით, არამედ იმიტომ, რომ იმავე ფუნდამენტურ ღირებულებებს ვიზიარებთ. მჯერა, შენ და მეც ერთი თაობის შვილები ვართ — თაობისა, რომელსაც სურს მოისმინოს, გაიგოს და ერთად შექმნას უკეთესი მომავალი.

საქართველო დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ როგორც მნიშვნელოვანი მიღწევების, ასევე გარკვეული გამოწვევებს წინაშე აღმოჩნდა .

ჩვენმა ქვეყანამ საერთაშორისო აღიარება მოიპოვა ,რამაც საშუალება მისცა დამოუკიდებლად განესაზღვრა საკუთარი საგარეო და საშინაო პოლიტიკა.,თუმც საბჭოეთის მენტალური გავლენა კვლავ აისახება საზოგადოების ნაწილზე,რადგან აზროვნების

გათავისუფლება ერთ დღეში არ ხდება — ტრანსფორმაცია მტკივნეული და გრძელვადიანი პროცესია.მაგრამ ახალგაზრდები გამოირჩევიან შემოქმედებითობით,კრიტიკული აზროვნებით,ქმედებებით.

საქართველომ გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროინტეგრაციის გზაზე.ამასთან კვლავ არსებობს მნიშვნელოვანი გამოწვევები . ჩვენ ვცდილობთ ევროპული ღირებულებების გათავისებას და მათზე დაყრდნობით საკუთარი სახელმწიფოს აშენებას.

ეს წერილი მეგობრული გამოწვევაა — გავუზიაროთ ერთმანეთს საკუთარი გამოცდილება, ვილაპარაკოთ, როგორ გვესმის თავისუფლების არსი ჩვენ, ახალი თაობის ევროპელებს.
შენ როგორ გესმის თავისუფლება? რა მოიაზრება შენთვის სიტყვა სამშობლოში და რას ნიშნავს იყო პასუხისმგებლიანი მოქალაქე?
მჯერა, რომ ჩვენი გზები გადაიკვეთება მაშინ, როცა თავისუფლების არსზე აღარ მოგვიწევს საუბარი, უბრალოდ, ერთად შევიგრძნობთ მას საერთო განცდად,საერთო ღიმილად.

გულწრფელად,ვახო .

15.05. 2025.

Dear friend,

My name is Vakho. I am 16 years old, and I come from the seaside town of Poti, in the western part of Georgia, founded by the ancient Greeks on the shores of the Black Sea.

This is my first letter to you, and not by coincidence. I want to share with you the journey my nation has taken from independence to freedom. It's a path we, the younger generation, walk every day—one that we contribute to through our actions and choices.

Independence, to me, is not just a historical date or a political announcement. It's the freedom to live my life according to my own values and principles. My country achieved freedom thanks to the efforts and sacrifices of my parents and grandparents.

Freedom means work and opportunity—an opportunity to serve my country with knowledge, honesty, and shared values.

It means being able to think for myself, to study what I love, to speak my truth, and to defend the foundation upon which our identity rests.

Georgia has long been under the influence of great empires. But in 1918, during the brief but inspiring life of the First Republic, we clearly showed our spirit—the will to be an independent state.

And in 1991, our final liberation from Soviet rule was a rebirth—a victory on the path to freedom.

Freedom is wisdom. It teaches us how to protect our identity in an international world, and how to be tolerant and responsible citizens.

It is the ability to write our own history, to learn from Europe's experience while preserving our culture.

Now, I am able to think in my own language, speak in my own alphabet, choose my own profession, get an education based on democratic ideals, and create my own values.

Inner freedom is what I value most—that my voice matters and people can hear me.

To us Georgian young people, Europe is not just a geographical notion. It is a land of common values, where peace, equality, and freedom are built together. That is why we believe in European integration—not to imitate others, but because we share the same fundamental values.

I am sure that you and I are children of the same generation—a generation willing to listen, to learn, and to build a better world together.

After gaining independence, Georgia faced both significant achievements and certain challenges.

Our country gained international recognition, which allowed it to independently determine its own foreign and domestic policy. However, the mental influence of the Soviet Union is still reflected in

part of society, as the liberation of thinking does not happen in one day—transformation is a painful and long-term process. But young people stand out with their creativity, critical thinking, and actions.

Georgia has taken important steps on the path to European integration. At the same time, significant challenges still exist. We are trying to embrace European values and build our own state based on them.

This letter is an open invitation. Let us share our experiences, and discuss how we, the new European generation, understand the value of freedom.

What is freedom in your eyes? What does “homeland” mean to you? And what makes a civic-conscious citizen?

I believe we will meet someday—when we won’t need to talk about freedom, because we’ll feel it together, like a shared moment, a shared smile.

Warm regards,Vakho.

15.05 2025.